



წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "BONUS" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან სიტყვა "BONUS"-ის მნიშვნელობა გულისხმობს "დამატებით ანაზღაურებას, ჯილდოს, რომელიც პრემიის სახით გაიცემა". აგრეთვე ამ სიტყვის მნიშვნელობა მიანიშნებს ფულთან დაკავშირებულ და განხორციელებულ ქმედებებზე. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციო სასაქონლო ნიშანი არაგანმასხვავებელუნარიანია განცხადებული საქონლისა და მომსახურებისათვის რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „თურქი გარანტი ბანქასი ანონიმ შირკეთი“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, როგორც ცნობილია ნებისმიერი ტექსტის თუ განმარტების ციტირებისას აუცილებელია წყაროს მითითება, რასაც ადგილი არ აქვს ექსპერტიზის დასკვნაში, ამიტომ, უცხო სიტყვის ქართულ ენაზე განმარტება ექსპერტის შეხედულების მიხედვით არაა საკმარისი ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმისათვის. აპელანტის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში სიტყვა ბონუსის მნიშვნელობა ქართულ ენაზე ნამდვილად ნიშნავს ჯილდოს, მაგრამ აღნიშნული სიტყვის მნიშვნელობის ექსპერტის მიერ დამატებით განმარტება არასწორია. ექსპერტის სუბიექტური შეხედულება არაა გამყარებული რაიმე სახის მტკიცებულებით და შესაბამისად უსაფუძვლოა, შესაბამისად, თავისი მნიშვნელობით განცხადებული სასაქონლო ნიშანი განმასხვავებელუნარიანია განცხადებული საქონლისა და მომსახურებისთვის. აპელანტის განმარტებით, იგი წარმოადგენს თურქეთის მეორე უდიდეს ბანკს, რომელიც წლებია იყენებს აღნიშნულ სასაქონლო ნიშანს საბანკო-საგადასახადო ბარათებზე. სიტყვა „ბონუსი“ გამოიყენება მოცემულ სფეროში და რაღაც დონეზე შეიძლება იყოს აღწერილობითი, მაგრამ იგი არ გამოიყენება საბანკო ბარათის დასახელების სახით. ნათელია, რომ სიტყვა ბონუსი გულისხმობს კონკრეტული ბარათის კონკრეტული პროვაიდერის ბარათისგან იდენტიფიკაციას და არა მის აღწერილობით მნიშვნელობას. განცხადებული ნიშნის სასაქონლო ნიშნად გამოყენების პრინციპული შესაძლებლობის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამ სახით იგი ნამდვილად არსებობს წარმოშობის ქვეყანაში – თურქეთში – სადაც, ამავდროულად, აღიარებულია საყოველთაოდ

ცნობილ ნიშნად. ანუ, აპელანტი უბრალოდ კი არ მიუთითებს თურქეთში საყოველთაოდ ცნობილობის სტატუსზე, არამედ, მტკიცებულების სახით მიუთითებს იმაზე, რომ ასეთმა სიტყვამ რეალურად შეიძლება შეასრულოს სასაქონლო ნიშნის ფუნქცია, განასხვავოს ერთი მეწარმის საქონელი და მომსახურება მეორისგან და ვინაიდან მას შეუძლია ამგვარი ფუნქციის შესრულება თურქეთში, მაშინ შეუძლია სხვა ქვეყანაშიც, მათ შორის საქართველოშიც. აპელანტის პოზიციით, თუ აღნიშნული ნიშანი არ დარეგისტრირდება – ეს გარემოება დააზარალებს მომხმარებლის ინტერესებს. აპელანტი აქტიურად იყენებს აღნიშნას „BONUS“ საგადასახადო ბარათის დასახელების სახით და მისთვის ამ სიმბოლოზე განსაკუთრებული უფლებების არმინიჭების შემთხვევაში ნებისმიერი სხვა ბანკი, ასევე, შეძლებს მის გამოყენებას საგადასახადო ბარათის სახით არაკეთილსინდისიერი მიზნებით (ვინაიდან ამ სიტყვის რეპუტაცია სასაქონლო ნიშნის სახით თურქეთში დადასტურებულია საყოველთაოდ ცნობილობის სტატუსით და მის გამოყენებას სხვა ბანკებიც შეეცდებიან), ვინაიდან, აღნიშნული სიტყვა გამოყენების დროს არაა აღწერილობითი ხასიათის და მხოლოდ საბანკო ბარათს ნიშნავს, მაშინ მომხმარებელი სხვა ბანკის ბარათს ჩათვლის აპელანტი/განმცხადებელი ბანკის ბარათად და შევა შეცდომაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 თებერვლის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №152/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „BONUS“ (საიდ. №72363/03) დარეგისტრირებას საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „იგი არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“. ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ

დამკვიდრებულ ტერმინს ან სიმბოლოს, რომლის რეგისტრაციაც მოითხოვება”.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „BONUS” არაგანმასხვავებელუნარიანია 36-ე კლასის განცხადებული მომსახურების მიმართ. კერძოდ, სიტყვა „ბონუსი”, რომელიც ქართულად ნიშნავს – პრემიას, ჯილდოს, პრიზს, დამატებით ანაზღაურებას, პირდაპირ მიანიშნებს ფულთან დაკავშირებულ და განხორციელებულ ქმედებებზე. ამასთან, საქპატენტში, 36-ე კლასის მომსახურების მიმართ, სხვადასხვა კომპანიების სახელზე, სხვადასხვა სიტყვიერ თუ გამოსახულებით ელემენტებთან კომბინაციაში რეგისტრირებულია აღნიშნული სასაქონლო ნიშნის შემცველი სხვადასხვა სასაქონლო ნიშნები: „bonus net” (საიდ. №44830/03), „T-is bonus” (საიდ. №19213/03), „T-X-Bonus” (საიდ. №19211/03), „T-BonusBonds” (საიდ. №19023/03), „SHOP & BONUS” (საიდ. №57005/03), „GARANTI BONUS” (საიდ. №41746/03), „Bonus plus” (საიდ. №61886/03), შესაბამისად, განცხადებულ ნიშანს „BONUS” არ გააჩნია განმასხვავებელუნარიანობა აღნიშნული კლასის მომსახურების მიმართ.

კოლეგიის მოსაზრებით, გარდა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული ზემოაღნიშნული საფუძვლისა, განცხადებულ ნიშანთან მიმართებაში, არსებობს ასევე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, კერძოდ, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „BONUS”, როგორც ტერმინი, მე-9 კლასის განცხადებული საქონლის მიმართ, როგორცაა ელექტრონული და მაგნიტური, ასევე სხვადასხვა სახის საბანკო ბარათები, სამოქალაქო ბრუნვაში ამ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერმინს წარმოადგენს. დღეისათვის, საქართველოში უკვე მრავალ ბანკს აქვს შემოღებული ე.წ. „ბონუს ბარათები”, რომელიც ძირითადად დაგროვებითი და საკრედიტო ბარათის ფუნქციას ითავსებს. შესაბამისად, მომხმარებელისთვის სიტყვა „ბონუს” ბარათებისათვის საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერმინს წარმოადგენს და მომხმარებელი „ბონუს ბარათს” იცნობს, როგორც ბარათის სახეს და არა როგორც განმასხვავებელ სიმბოლოს, რომელიც განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელსა და მომსახურებას, მეორე საწარმოს საქონლისა და მომსახურებისაგან.

რაც შეეხება აპელანტის არგუმენტაციას, განცხადებული სასაქონლო

ნიშნის თურქეთის ტერიტორიაზე საყოველთაოდ ცნობილად აღიარებასთან დაკავშირებით, კოლეგიას მიაჩნია, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მხოლოდ საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნებია დაცული რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის მე-6<sup>bis</sup> მუხლის შესაბამისად. სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება ხდება „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის ან სასამართლოს მიერ, მისი კომპეტენციის ფარგლებში დაინტერესებული პირის მოთხოვნით. აქედან გამომდინარე, განცხადებული სასაქონლო ნიშნის მის წარმოშობის ქვეყანაში საყოველთაოდ ცნობილად აღიარების ფაქტი ვერ მოახდენს გავლენას საქართველოში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „BONUS“ (საიდ. №72363/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

### გ ა დ ა ო ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „თურქიი გარანტი ბანქასი ანონიმ შირკეთი“ (Türkiye Garanti Bankasi Anonim Şirketi.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 თებერვლის №152/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე

უარის თქმის შესახებ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ს. დუმბაძე

ლ. კერესელიძე